585
1979/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (462)

1979 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 7 (462) ივლისი 1979 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

208. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

209. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

210. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში.

211. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონის შესრულების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

212. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწადებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

213. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ვინოგრადოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სახელო წოდების მინიჭების შესახებ.

214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. მალაციძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. როინიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ს. მუჩაევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

220. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ქვათაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. გამყრელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. დ. ზვიადაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მანჯგალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ლ. გვასალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. თითიერა-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. კალანდა-რიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. კვარაცხე-ლიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდო-ების შესახებ.

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. თ. კოზაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. მეგრელი-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

208 „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ., № 12, მუხ. 238) შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას და „იმის თაობაზე, რომ შეტანილ იქნეს ცვლილებები სსრ კავშირის კანონში „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 16 თებერვლის ბრძანებულებას, შეტანილ იქნეს ამ კანონში შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-14, მე-17, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე, 43-ე, 46-ე, 47-ე, 49-ე, 61-ე, 63-ე, 65-ე, 67-ე, 68-ე, 71-ე და 83-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა საბჭოები“.

2. მე-4 მუხლში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების საოლქო“ შეიცვალოს სიტყვებით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა“

3. პირველ, მე-7, მე-8, მე-13, მე-14, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე, 26-ე, 46-ე, 63-ე, 71-ე და 75-ე მუხლებში სიტყვები „კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები“ შეიცვალოს სიტყვებით „კოლმეურნეობები, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები“.

4. 64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 64. დოკუმენტის პირისაგან შესრულებული პირის სისწორის დამოწმება

დოკუმენტის პირისაგან შესრულებული პირის სისწორე სახელმწიფო ნოტარიუსმა შეიძლება დაამოწმოს იმ პირობით, თუ პირის სისწორე დამოწმებულია სანოტარო წესით ან თუ დოკუმენტის პირი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, რომელმაც შეადგინა დოკუმენტის დედანი“.

5. IV კარის დასახელებასა და 86-ე მუხლის სათაურში სიტყვები „უცხოელთა“ და „უცხოელების“ შეიცვალოს სიტყვებით „უცხოელი მოქალაქეების“, ხოლო ამ კარის დასახელებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და შეთანხმებანი“.

6. 87-ე, 89-ე და 90-ე მუხლებში სიტყვები „საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 92-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 92.** საერთაშორისო ხელშეკრულებანი.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, თუ სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სანოტარო მოქმედების წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობა, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ წესებს“;

მეორე და მესამე ნაწილებში სიტყვები „საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულება“.

8. 31-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სასარჩელო წარმოების წესით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 3 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

209 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად **გურამ ივანეს ძე გვეტაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

განთავისუფლდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან **კონსტანტინე ერემიას ძე კეთილაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 13 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

210 შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ა. ბარაბაძის მოხსენებითი ბარათი „შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში“, **ადგენს:**

საქართველოს სსრ პროკურორის მოხსენებითი ბარათი განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც მასში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 27 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

211 რესპუბლიკაში ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონის შესრულების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა კულტურის მუდმივი კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონის შესრულების თაობაზე, **ადგენს:**

1. აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების საქმეში ერთგვარი წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ხარვეზებს. ამ მიმართულებით სათანადო მუშაობას არ ეწევიან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოებები, შეფი ორგანიზაციები.

2. მუდმივი კომისიის მასალები ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ სათანადო რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, სხვა სამინისტროებს და უწყებებს.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, მისი წარსულის შესწავლასთან და სხვ., და რჩევა მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლე-

სი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ ძეგლების მოვლა-პატრონობის მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 27 ივლისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

212 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით წულუკიძის რაიონის სოფელ ხიდის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი სერგო ალექსის ძე **ჩიხლაძე** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 27 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

213 ამხ. ა. ს. ვინოგრადოვისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, 780 ათასკილოვატიანი პირველი რიგის ენგურჰესის ექსპლუატაციაში წარმატებით შეყვანასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. ალექსანდრე სერგის ძე **ვინოგრადოვს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 5 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საპატიო წოდება:**

საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის:

იოსებ ზაქარიას ძე **ბალამწარიშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს ტექნიკოს-ჰიდროტექნიკოსს.

კორა აკაკის ასულ **ვეკუას** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადიგენის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს ტექნიკოს-ჰიდრომეტრს.

ვასილ ალექსანდრეს ძე **ლეონიძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

ნოდარ ბიქტორის ძე **მიმინოშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უბნის უფროსს.

ამირან ბესარიონის ძე **ფაჩუაშვილს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

ევგენი გიორგის ძე **ხაჯიევს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

ემა პეტრეს ასულ **ჯარიაშვილს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ქვემო სამგორის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს ინჟინერს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ზურაბ პავლეს ძე **კალანდაძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ ტექნიკური განყოფილების უფროსს.

ზურაბ ილარიონის ძე **კაციტაძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ ტრესტ „წყალმშენის“ მთავარ ინჟინერს.

ანზორ გერონტის ძე **მუსერიძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ უფროსს.

გიორგი ნიკოლოზის ძე **წერეთელს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის:

გიორგი ვასილის ძე **ელიზბარაშვილს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ზაქარიას ძე **ტაბატაძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის:

იგორ ვასილის ძე **იუროვს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ ტრესტ „კოლხეთმშენის“ ექსკავატორის მემანქანეს.

ანატოლი ივანეს ძე **სამოილოვს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ ტრესტს „წყალმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ავტოკმწის მძღოლს.

ლევ ნიკანორის ძე **სუროვს** — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

ლონგინოზ ფილიპეს ძე **წურწუმიას** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „მთავარსაქწყალმშენის“ ტრესტ „კოლხეთმშენის“ ექსკავატორის მემანქანეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის:

სილოვან სილოვანის ძე **ლორთქიფანიძეს** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს —საქწყალპროექტის“ აგროეკონომიკის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკთათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და რესპუბლიკის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკებს** მიენიჭოთ **სახელმწიფო წოდება:**

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ივანე არჩილის ძე **ხუხუას** — კომბინატის დირექტორის მოადგილეს კაპიტალური მშენებლობის დარგში.

შოთა აკაკის ძე **ჯანჯღავას** — კომბინატის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის:

სპირიდონ მაქსიმეს ძე **გეთიას** — კომბინატის დირექტორის მოადგილეს კომერციულ საკითხებში.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

ალექსი კასიანეს ძე **ზემლიანოის** — კომბინატის მუყაოს საამქროს ზეინკალთა ბრიგადირს.

ამირან მაკარის ძე **თოდუას** — კომბინატის ცელულოზის საამქროს ზეინკალს.

ციალა ილიას ასულ **ნაჭყებიას** — კომბინატის საფუარის საამქროს უფროსს.

ჭიჭიკო ირაკლის ძე **ფაცაციას** — კომბინატის ქაღალდსაკეთებელი მანქანის მემანქანეს.

დემურ კაპიტონის ძე **წურწუმიას** — კომბინატის ქაღალდსაკეთებელი მანქანის მემანქანეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 19 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

216 საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო, საბანკო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება:**

შალვა ალექსანდრეს ძე **აბულაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროს რეფერენტს.

ხუტა თომას ძე **რურუას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროს რეფერენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

217 ამხ. გ. ნ. მალაციძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **მალაციძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 2 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 ამხ. ნ. ი. როინიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. ნიკოლოზ იოსების ძე **როინიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 5 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 ამხ. ზ. ს. მუჩკაევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე — სექტორის გამგე ამხ. ზინაიდა სოზონტის ასული **მუჩკაევა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 ამხ. გ. ი. ქვათაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. გელა იოსების ძე ქვათაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 13 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

221 რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ედუარდ არტაშესის ძე **აგაბაბოვი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსი.

ალექსანდრე აბრამის ძე **ალახვერდიევი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ მთავარი სპეციალისტი.

თამარ ერმალოს ასული **აღლაძე** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ ლაბორატორიის გამგე.

გივი მარტიას ძე **ბერუჩაშვილი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსი.

თენგიზ შალვას ძე **ბოსიკაშვილი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსი

მარიამ კონსტანტინეს ასული **ზერაგია** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ ჯგუფის ხელმძღვანელი.

ედუარდ ივანეს ძე **კაზარაშვილი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის განყოფილების უფროსი.

ვლადიმერ ივანეს ძე **კოლესნიკოვი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსი.

ნატალია ვასილის ასული **მანდენოვა** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ ჯგუფის ხელმძღვანელი.

გიორგი ვასილის ძე **ნუცუბიძე** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ მთავარი სპეციალისტი.

გურამ იონას ძე **ტატიშვილი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ დირექტორის მოადგილე

გიორგი კონსტანტინეს ძე **შალამბერიძე** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე.

თეიმურაზ ზურაბის ძე **ციციშვილი** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტის“ განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1979 წლის 16 ივლისი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

222 ამხ. გ. გ. გამყრელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. გივი გალაქტიონის ძე **გამყრელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **ბილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი. 1979 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

223 ამხ. ნ. დ. ზვიადაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილი მდივანი, პერსონალური პენსიონერი

ამხ. ნიკოლოზ დავითის ძე **ზვიადაძე** დაჯილოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

224 ამხ. ვ. ი. მანჯგალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვლასი ივანეს ძე **მანჯგალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

225 ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის და რესპუბლიკის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მუშაკები** დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

პეტრე ალექსის ძე **ბელოუსიკი** — კომბინატის ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროსი.

აკაკი სამსონის ძე **ბელქანია** — კომბინატის მთავარი ტექნოლოგი.

პალიკო კალისტრატეს ძე **ბელქანია** — **კ**ომბინატის ცვლის ოსტატი.

მარგო ნესტორის ასული **გერსამია** — კომბინატის უბნის ბრიგადირი.

პალიკო პარმენის ძე **თუფურია** — კომბინატის საამქროს ზეინკალი.

ეროდი გრიგოლის ძე **კეზუა** — კომბინატის საამქროს უფროსი.

გივი პლატონის ძე **კერჭავა** — კომბინატის სარემონტო ჯგუფის ზეინკალთა ბრიგადირი.

ანასტასია პავლეს ასული **მაქაცარია** — კომბინატის ქაღალდის საამქროს უფროსის მოადგილე.

როინ ამბაკოს ძე **ოკუჯავა** — კომბინატის საამქროს ცვლის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ნიკოლოზის ძე **ქირია** — კომბინატის მექანიკური საამქროს უფროსი.

თევდორე ნიკოლოზის ძე **კუჩმაევი** — კომბინატის კაპიტალური რემონტის საამქროს ოსტატი.

მაგომეტ ლუბოს ძე **ძიბა** — კომბინატის უბნის მქლორავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 19 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

226 რესპუბლიკის რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გამოგონებათა შესახებ ლენინური დეკრეტის მე-60 წლისთავთან და გამომგონებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ზაურ ექვთიმეს ძე **გაგლოევი** — ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მექანიკურ-საამწყობო უბნის უფროსი.

სერგი იოსების ძე **გორგიჯანოვი** — ამიერკავკასიის რკინიგზის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

ვიქტორ დემიანის ძე **ვასინი** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სავაგონო დეპოს ავტოსაკონტროლო პუნქტის ზეინკალი.

ნიაზბეი შაგოს ძე **კაიტანი** — „ნოვოროსიისკმორსტროის“ ტრესტის მცურავი სამშენებლო რაზმის № 4 უბნის ელექტრიკოსი.

ნიკოლოზ ნესტორის ძე **კიკვიძე** — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სამღებრო საამქროს ოსტატის თანაშემწე.

ავთანდილ იუსუფის ძე **ნაკაშიძე** — ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ზეინკალი.

თამაზ ანდროს ძე **შილაკაძე** — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული პატენტმცოდნეობის საზოგადოებრივი ინსტიტუტის რექტორი.

მიტუშა სილიბისტროს ძე **ჩიხლაძე** — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალ-შემკეთებელი.

კუკური ბესარიონის ძე **ჭოხონელიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სორტსაგლინავი საამქროს სახურებელი ღუმელების ბრიგადირი.

ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯაბადარი — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი მეტროლოგი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 19 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

227 ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰავის, გარემოს მდგომარეობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილისა და სხვადასხვა სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციის ეფექტიანი, ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფისათვის, დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის და გარემოს კონტროლის სამმართველოს ბორჯომის მეტეოროლოგიური სადგური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

228 ამხ. ა. ლ. გვასალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამხ. ალექსანდრე ლავრენტის ძე **გვასალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

229 ამხ. მ. მ. თითირაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. მარიამ მიხეილის ასული **თითირაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

230 ამხ. გ. ი. კალანდარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გიორგი ილარიონის ძე **კალანდარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

231 ამხ. ა. ი. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სოციალისტური შრომის გმირი, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ამხ. ალექსანდრე ილიას ძე **კვარაცხელია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

232 ამხ. ა. თ. კოზაევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ანდრია თევდორეს ძე **კოზაევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

233 ამხ. კ. ს. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. კარლო სიმონის ძე **მეგრელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 30 ივლისი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1979 წლის 27 ივლისის სხდომაზე განიხილა საკითხი საბჭოების შესახებ კანონების მოთხოვნათა შესასრულებლად წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, ახორციელებს რა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოთხოვნებს, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად იბრძვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების, **დადგენილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების სარეალიზაციოდ, რომლე-**

ბიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და სიტყვებში.

საბჭოების მიერ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცების, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე წარმატებით შესრულებას.

ქალაქის ყველა სამრეწველო საწარმომ, საერთო პროდუქციის როგორც წარმოების, ისე რეალიზაციის სამი წლის სახელმწიფო გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ამავე პერიოდში 1975 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 28,9 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები. მეათე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში გეგმის ზევით წარმოებულია 2.152 ათას მანეთზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხორცის წარმოების გეგმა შესრულებულია 127,1 პროცენტით, ხოლო რძისა — 104,4 პროცენტით; საშუალოდ სოფლის მეურნეობაში კაცდღის ანაზღაურება 5 მანეთიდან 7,3 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეობებში — 9,8 მანეთამდე. მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქი წყალტუბო ზედიზედ ორჯერ დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება მშრომელთა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის; უკანასკნელ წლებში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი ობიექტი, განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა.

საქალაქო საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს საკურორტო მეურნეობის განვითარებას, დამსვენებელთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფას, ქალაქის კეთილმოწყობასა და სანიტარიულ მდგომარეობას.

გაუმჯობესდა განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა. მიმდინარე წელს დამატებით გაიხსნა 3 ბაგა-ბაღი, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო სეზონური ბაგა-ბაღები.

საქალაქო საბჭო იბრძვის საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების, საჯაროობის დამკვიდრების, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის. გააქტიურდა დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების საქმიანობა, სერიოზული ყურადღება ეთმობა ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებების, აგრეთვე საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლს.

დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ სესიების მომზადებაში. ყოველი სესიის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე იხილავენ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მიერ აღძრულ საკითხებს და სახავენ საჭირო ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისძიებებს. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიზნით სესიებზე რეგულარულად ხდება დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხების დაყენება, რომელთა უმრავლესობა წინა სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებების და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას ეხება.

სათანადო ყურადღება ეთმობა შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების საქმეს. მაღლაკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს თაოსნობას — „არც ერთი შრომისუნარიანი მოქალაქე სოფლად საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის გარეშე“ — ფართოდ გამოეხმაურა ყველა სასოფლო საბჭო.

გაძლიერდა საბჭოების ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობა. ხშირად ეწყობა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამსვლელი სხდომები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მუდმივი კომისიები, რომლებიც უნარიანად უწევენ კონტროლს სათანადო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას.

გაწეული მუშაობის მიუხედავად, წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ქვემდგომი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მთელი რიგი ხარვეზები გააჩნია.

განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

* *

*

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკის პროკურორის მოხსენებითი ბარათი.

აღინიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ბევრი ადგილობრივი საბჭო და მათი აღმასკომი საჭირო მუშაობას არ ეწევა სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად კანონმდებლობის შესრულებისათვის. საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე იშვიათად იხილავენ დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებს; სუსტია ხელმძღვანელობა და კონტროლი ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო, არასრულწლოვანთა საქმეებისა და სხვა კომისიების საქმიანობისადმი, რის გამოც მათ მიერ სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად განხორციელებული ღონისძიებანი მოკლებულია ქმედითობას და ეფექტიანობას. ჩატარებული მუშაობა ვერ პასუხობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ამოცანებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა — რესპუბლიკის პროკურორის მოხსენებითი ბარათი განსახილველად და სათანადო ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების მისაღებად დაეგზავნოს სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

* *
*

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები — ქ. რუსთავის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საწარმოო სწავლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის მუდმივი კომისიის ინფორმაციის შესახებ, მრავალშვილიანი დედების „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენისა და „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოების თაობაზე, რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მედლით „შრომის ვეტერანი“ დაჯილდოების შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 170 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან	8
„ კიროვის რაიონდიან	5
„ 26 კომისრის	1
„ საქარხნო	3
ქ. გორიდან	4
ქ. რუსთავიდან	7
ქ. ტყიბულიდან	2
ქ. ფოთიდან	2
აბაშის რაიონიდან	3
ბოგდანოვკის „	18
გეგეჭკორის „	5
გორის „	6
დმანისის „	20
დუშეთის „	2
ზუგდიდის „	4
თერჯოლის „	4
თიანეთის „	1
ლაგოდეხის „	8
მესტიის „	8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯონიკიძის	რაიონიდან	4
საჩხერის	„	6
ჩხოროწყუს	„	5
ქარელის	„	9
ყვარლის	„	16
ცხაკაიას	„	1
ხაშურის	„	2
ხობის	„	4
სამხრეთ ოსეთის ა/ო		12

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 ივლისის ბრძანებულებით — **„შრომის ვეტერანის“** მედლიო დაჯილდოვდა 3072 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის	კიროვის	რაიონიდან 183
„	ორჯონიკიძის	„ 217
„	26 კომისრის	„ 69
ქ. ქუთაისის	ლენინის	რაიონიდან 99
ქ.	გორიდან	52
ქ.	ზუგდიდიდან	29
ქ.	ფოთიდან	95
ახალქალაქის		რაიონიდან 63
გ ო რ ი ს		„ 221
დუშეთის		„ 4
ზესტაფონის		„ 504
თეთრი წყაროს		„ 34
კ ა ს პ ი ს		„ 228
ლაგოდეხის		„ 168
ლენტეხის		„ 15
საგარეჯოს		„ 114
სამტრედიის		„ 70
საჩხერის		„ 162
ცხაკაიას		„ 223
წ ა ლ კ ი ს		„ 92
წითელწყაროს		„ 200
ხაშურის		„ 67
ხ ო ბ ი ს		„ 163